№ 21 18 ოქტომბერს, ხუთშაბათი 1866—1879 18 ოქტომბერს, ხუთშაბათი № 215

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: [illegible] ასოზე 1 კაპ., [illegible] ცერეთი — 5 კაპ., პატარათი — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

## განცხადება

ქართული თეატრის ამხანაგობა ამით აცხადებს, რომ იგი ნიშნავს ჯილდოს ორიგინალურ დრამატიულ თხზულებათა დამწერთათვის — 15 თუმნამდის, და სხვა ენებიდამ გადმოკეთებული პიესებისათვის — შვიდ თუმნამდის.

ამ გვარი თხზულებები უნდა წარუდგინონ დასაფასებლათ ამხანაგობის შემდეგი ადრესით: თბილისს, გიორგი თუმანიშვილს, ბარიათინსკის ქუჩაზე, № 8.

(3—2)

## ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბერლინი, 15 ოქტომბერს. სახალხო განათლების მინისტრმა პუტკამერმა 10 ოქტომბერს ერთს სადილზე გერმანიის იმპერატორის ვილჰელმის სადღეგრძელო დალია და თან წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აქებდა იმისთვის, რომ იმან თავის ხალხის ბედნიერებისა და სიკეთისათვის დაივიწყა თავის გულის ლტოლვილება და მიზიდულება, და კავშირი შეჰკრა ავსტრიასთან. მინისტრს იმედი აქვს, რომ ეს კავშირი და მეგობრული განწყობილება გერმანიასა და ავსტრიას შუა იქნება ხანგრძლივი და დამცველი საზოგადო მშვიდობიანობისა.

ლონდონი, 15 ოქტომბერს. გაზეთს „სტანდარტში" იწერებიან კაბულიდამ, რომ ინგლისის ღენერალმა გაუმ განფანტა რამდენიმე ათასი მონგოლები, რომელნიც გარს შემოხვევოდნენ ინგლისის ჯარის ბანაკს შატარგარდანში. ხუთი ავღანელი ჩინოვნიკი, რომელთაც ინგლისის საელჩოს ამოწყვეტაში მიეღოთ მონაწილეობა, სიკვდილით დასაჯეს კაბულში.

ვენა, 15 ოქტომბერს. ავსტრო-ვენგრიის ოსმალეთში ელჩმა გრაფ ზიჩიმ შეიტანა ქაღალდი სამსახურიდამ დათხოვნის თაობაზედ.

ბუხარესტი, 15 ოქტომბერს. არაბ-ტაბიის თაობაზედ დანიშნული კომისია 14 ამ თვეს წავიდა სილისტრიაში.

პეტერბურღის ბირჟა, 15 ოქტომბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| | | |
|---|---|---|
| ბანკის ბილეთები: | | მან. კაპ. |
| პირველი გამოცემის | — | 94—25 |
| მეორე — | — — — | 93— „ |
| მესამესი | — — — | 93— „ |
| მეოთხესი | — — — | 92—87 |
| აღმოსავლეთის პირ. | — | 91—12 |
| აღმოსავლეთის მეორე | — | 91—12 |
| აღმოსავლეთის, მესამე | — | „— „ |
| ოქრო, ½ იმპერიალი | — | 7—72 |
| გირაოს ფურცელი | — | „— „ |

შინაგანი $5\%$ სესხის ბილეთები

| | | |
|---|---|---|
| | | მან. კაპ. |
| პირველი სესხის— | — | 229—50 |
| მეორე სესხის | — — | 224—50 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი | — — | 25—56 | პენსი |
| ჰამბურღი | — — | 216—25 | ცენტი |
| პარიჟი | — — — | 268—75 | სანტიმი |
| ვენა | — — — | 218— „ | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი | — — — | | |

## საქართველო

### ტფილისი

*** ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ გამოცხადებული, რომ ტფილისში იმყოფება ამ ჟამად ერთი იმ პოდ-კომისიათაგანი, რომელნიც მთელს რუსეთში ათვალიერებენ რკინის გზებსა, სინჯავენ ამათ, იღებენ მოგზაურთა და საქონლის გამგზავნთაგან ყოველგვარ საჩივარს ამ გზების გამგეობაზედ და სხვ. და სხვ.

ამ ჩვენმა ფოთი-ტფილისის რკინის გზის დამთვალიერებელმა კომისამ რამდენიმე დღე დაჰყო ტფილისში; დღეს ის მიდის ჩვენი ქალაქიდამ და რკინის გზის სტანციებს დაუწყებს რევიზიას; დღეს, 18 ოქტომბერს, ის დაათვალიერებს სტანციებსა და გზას ტფილისიდამ გორამდინ, ხვალ, 19 ს, გორიდამ ყვირილამდინ, 20-ს ყვირილიდამ ქუთაისამდინ, 21-ს ქუთაისში დარჩება, 22-ს ქუთაისიდამ ფოთამდინ და 23-ს ფოთში მივა.

ყველას, ვისაც რამ საჩივარი და უკმაყოფილება აქვს გამოსაცხადებელი ან რკინის გზის გამგეობაზე, ან სტანციის უფროსებზე და ან სხვა ვინმეზე და რამეზედ, შეუძლიან პირ-და-პირ მიიღეს ამ პოდკომისიასთან და ან სიტყვიერად ანუ ქაღალდით განაცხადოს თავის უკმაყოფილება და საჩივარი. ბევრი უჩიოდა ჩვენში სტანციების უფროსებს, რომ საქონელს თავის დროზე არ გზავნიანო, ალპობენ გზაშიო, ბილეთების ფულს რო ვაძლევთ, ხურდას არ გვიბრუნებენო და სხვ.. დროც ახლა არის ამგვარი საჩივრის განცხადებისა.

*** დღევანდელს „კავკაზში" შემდეგი შენიშვნა არის დაბეჭდილი:

„ქალაქში დადის ხმა, ვითომც ბაქო-ტფილისის რკინის გზა ავჭალის სტანციიდამ მარცხნით გაუხვევს, ტფილისს გვერდს აუვარსო და გაივლისო იქ, საცა მახათას გორდაღმა მლაშე ტბები არისო; გზის სტანციის შენება შეჩერეს ტფილისში, რადგან ეს სტანცია ავჭალაში უნდა გაშენდეს. ტფილისში კი შენდება ავჭალიდამ რკინის გზის როტო ვაგზალი. სასურველია, რომ რკინის გზის გამგეობამ გამოაცხადოს, ნამდვილად სად გაივლის ეს გზა, რადგან ტფილისისათვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს."

ჩვენ არ გვჯერა, რომ ეს ამბავი მართალი იყვეს. არ გვჯერა, რომ ამ ფოთი-ტფილისის გზის გამგეობას თითქო კანონად ჰქონდეს დადებული, რომ კავკასიის უმთავრეს ქალაქებს უეჭველად უნდა აალდინოს, აუხვიოს გვერდი, საცა კი რკინის გზა გაჰყავთ; არ გვჯერა იმიტომაც, რომ ეს მავნებელი და მაზარალებელი იქნება არათუ მარტო ტფილისისათვის, არამედ თვით ამ გზის გამგეობის ჯიბისთვისაც.

### წერილი რედაქტორთან

უფალო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზეთში „დროებაში" ბევრი რამ დაიბეჭდა სამღვდელოების ყრილობაზე, რომელიც ტფილისში იყო 5, 6, 7 და 8 ამ ოქტომბრის რიცხვებში და რომლის თავსმჯდომარედ მე ვიყავი სამღვდელო დეპუტატებისაგან ამორჩეული.

ჩემს სიცოცხლეში ბეჭდვითი სიტყვას დიდათ ვაფასებ და საკიცხავად მიმაჩნია ის, ვისაც ბეჭდვის სიტყვა სძულს და თავის მოქმედების გამოაშკარავების ეშინია. მაგრამ, სამწუხაროდ ჩემდა, უნდა ვსთქვა, რომ სამღვდელოების ყრი-

ლოების მოქმედებაზე ბევრი ტყუილი ამბები დაიბეჭდა, რომელსაც სრულებით არ მოველოდი. არ მოველოდი იმიტომ, რომ ზოგჯერ თვითონ თქვენ ესწრებოდით და ისეთი დაახლოებული იყო რედაქციაზე ჩვენი სხდომა, რომ ვალდებულიც იყავით ყოველთვის თვითონ თქვენ დასწრებოდით და უკეთ გაგეგოთ და მართალი დაგეწერათ.

თქვენ დალოცვილო, ამისთანა საქმეებზე და სხვებზედაც გინდათ საჯოთ და ის კანონები კი არ გინდათ შეიტყოთ, რომელნიც ამისთანა სხდომებისათვის არის დაწესებული და გამოცემული. ამის გაუგებლობით ნამეტნავად ვარდება ზოგიერთები შეცდომაში და თავსმჯდომარის მოქმედება წინაამდეგათ ეჩვენებათ. არ ვიტყვი იმას, რომ არც ერთი თავსმჯდომარე არ შესცდება-მეთქი; ის შეცდომაები ანუ უწესო მოქმედებაები, რომელსაც მე თქვენ მაწერთ და მრთელ სამღვდელოდეპუტატებსაც,(?) სრულებით უსაფუძლონი არიან. მოვყვეთ თავიდამ:

ავიღოთ თქვენი „დროება“ № 205 და წავიკითხოთ. აი რას ბრძანებთ თქვენ მოწინავე სტატიაში:

„ყოველ სამღვდელოების ყრილობას აქვს სრული ნება მოსთხოვოს ანგარიში სემინარიის მთავრობას იმაზედ, თუ როგორ მიდის სწავლა და რა მდგომარეობაშია სემინარია ზნეობითად და ეკონომიურად და სხვანი“... აგრეთვე კარგი დარიგებანი არიან მოყვანილნი „დროების“ № 206 მოწინავე სტატიაში, მაგრამ თქვენ რომ უწმიდესის სინოდის უქაზი 20 დეკემბრიდამ 1867 წლისა წაგეკითხათ, მაშინ აღარ იტყოდით ამას. ეს უქაზი პირ-და-პირ უშლის სამღვდელოების ყრილობას ამისთანა საგანზე მსჯელობას. ეკონომიურ მდგომარეობაზე შეუძლიათ სამღვდელოებმა ილაპარაკონ იქ, სადაც პარალელნი განყოფილებანი არიან გახსნილნი სამღვდელოების ხარჯით. თქვენ არ მოგეწონებათ ეს განჩინება, მაგრამ თუ ამას გვიზამთ, რომ მოგვეცემა ამაზე მსჯელობის ნება, დიდი მადლობელი დავრჩებით...

„დროების“ №№ 206, 207, 208 რაც არის დაბეჭდილი ყველა მართალი არის ტიპოგრაფიულ შეცთომებს გარდა. მაგრამ „დროების“ № 209-ში კი ბევრი ტყუილები სწერია მოწინავე სტატიაში.

„თავსმჯდომარემ ერთი ვილაცა დეპუტატის თხოვნით სთხოვა გარეშე პირებს ზალიდამ გარეთ გასულიყვნენ. ჩვენ ძალიან გვაკვირვებს ამ გვარი კარჩაკეტილი და საიდუმლო მოქმედება სამღვდელოების კრებისა. გვაკვირვებს კიდევ უფრო ის გარემოება, რომ თავსმჯდომარემ შეისმინა ერთი დეპუტატის მოთხოვნილება და სთხოვა ზალიდამ გამოსვლა არა თუ მარტო გარეშე პირებს, არამედ გაზეთის „თფილისის მოამბის“ წარმომადგენელსაც. თუმცა ჩვენ არ დავსწრებივართ, მაგრამ ნამდვილად შევიტყეთ, რომ კრებამ რვა კანდიდატებში მხოლოდ ერთ მოროზოვსკის ქალს უყარა კენჭი. ნამეტანი ნაწილი დეპუტატების თხოვნით მ. წერეთლის ქალმაც განაცხადა სურვილი კენჭის-ყრისა. მაგრამ თავსმჯდომარემ მოროზოვსკის ქალზე მოახდინა კენჭის ყრა, და წერეთლის ქალზე აღარ ისურვა; ამისათვის იმერეთის, სამეგრელოს და გურიის სამღვდელოებმა ამაზე გარდასწყვიტეს პროტესტი შეიტანონ ეკზარხოსთან და თვითონ შინ წავიდნენ და სხვანი.“

თქვენ რომ დასწრებოდით, უფ. რედაქტორო, ამ სხდომაზე, რასაკვირველია, ამდენი ტყუილი არ დაიბეჭდებოდა. სამღვდელოების შეკრებილებას დასამალავი არა ჰქონებია-რა და არც კარის ჩაკეტვა განუზრახავს სხდომების დროს იმ აზრით, რომ სხვას არავის შეეტყო მათი სხდომების ანგარიში. ჰარიც რომ დაგვეხურა ყველა ფანჯრები ღია იყო სიცხისაგამო და იქიდამ ყველა ჩვენ სიტყვას სმენულობდა ხალხი.

ჩვენ თქვენი გაზეთის წარმომადგენელი არავინ გვინახავს და არც გარეთ დაგვითხოვია: „თფილისის მოამბის“ წარმომადგენელი, მართალია, იყო, მაგრამ ისე იქცეოდა, რომ თქვენც რომ თავმჯდომარეთ ყოფილიყავით, ვგონებ, არ დააყენებდით ზალაში. მაგრამ ჩვენ მას ბევრი მოუთმინეთ. მე სადაც მინახავს გაზეთის წარმომადგენელი შეკრებილებაში, ის თავისთვის ზის ერთ კუთხეში და სწერავს რასაც ხედავს. შეკრებილების საქმეში სრულებით არ ერევა და არც არავის აგონებს—შენ ასე თქვი და შენ ასეო. „თფილისის მოამბის“ წარმომადგენელს ესეები სრულებით არ ქონდა მიღებული სახეში. ვსწუხვარ, რომ ზოგიერთი გარემოება არ მაძლევს ნებას ყველა დაწვლილებით მოგიყვეთ. ერთ დროს, და ისიც ხმის მოკრების დროს, მე დავითხოვე ყველა გარეშე პირები ზალიდამ გარეთ, რადგან გარეშე პირებმა ნამეტნავად შეგვაწუხა. ამათ რიცხვში მოყვა თურმე „თფილისის მოამბის“ წარმომადგენელიც. ჩვენ სრულებით არ გვქონებია სახეში საიდუმლოდ საქმის მსჯელობა. ეს იყო სულ სხვა მიზეზით და ეხლავე მოგახსენებთ რა იყო ეს მიზეზი.

საეპარხიო ქალების სასწავლებლების წესდების ძალით ამ სასწავლებლების უმფროს ქალს ირჩევს სამღვდელოების შეკრებილება. სამღვდელოების დეპუტატებმა ისეთი ქალი უნდა აირჩიონ სასწავლებლის უმფროსად, რომელიც ცნობილი იქმნება დეპუტატებისაგან ზნეობითი და პედაგოგიურის მხრით. ბერჯერ რომ დაინიშნება კენჭის-ყრის აღრჩევით, მისი გამოცვლა აღარ შეიძლება ვიდრემდის გამოძიებით არა დაუმტკიცება დიდი ცუდი საქმეები. როგორი საადვილა ფორმალური გამოძიებით ამისთანა საქმეების დამტკიცება—თქვენც კარგად იცით.

მთხოვნელი ქალები ამ თანამდებობის მიღებისა იყო ათი მ. წერეთლის ქალის გარდა. ამათში ზოგს ჰქონდა საჭირო საბუთები და ზოგს სრულებით არაფერი. წერეთლის ქალს საქმის გამოძიებამდის სრულებით არაფერი საბუთები არ წარმოუდგენია. მოროზოვსკის ქალს ყველა საბუთები აგვისტოს თვეში ჰქონდა წარმოდგენილი, მაგრამ დროებითი კომიტეტის წევრს მ. ელიევის შეცდომით დარჩენოდა გარდმოუცემელი სხდომაზე.

რადგან კარგად არ ვიცოდით ყველა მთხოვნელების ზნეობა და სწავლა, ვერ გავბედეთ მათი არჩევა კენჭის-ყრით. მე მივეცი წინადადება დეპუტატებს: ხომ არ ისურვებენ იგინი, რომ ერთი ვინმე ამ მთხოვნელებთაგანი დროებით იყოს დანიშნული ამ თანამდებობაზედ და მეხედვისა-მებრ მოხდეს კენჭის ყრა ან იმათზედ და ან სხვა მთხოვნელებზე. ამ აზრზე იყო კენჭის-ყრა და მართლა ნამეტანი მსურველები ამ აზრის აღმოჩნდნენ. ბოლოს იყო გამოცხადებული, რადგან ყველა მთხოვნელების თხოვნები და საბუთები იყო განხილული კრებისაგან, რომელს ისურვებდნენ ყველა მთხოვნელებში უმფროსი ქალის თანამდებობაზე დანიშნულიყო. ეს იყო 8 ოკტომბერს შუა დღის დროს. ამ დროს შამოიტანა თხოვნა წერეთლის ქალმაც, რომელიც უარს ამბობდა აქნომამდი ამ თანამდებობის მიღებაზე. მე სამეგრელოს დეპუტატებისაგან მესმოდა, დროებითად იყოს დანიშნული წერეთლის ქალიო და ნამეტანი სხვა დეპუტატებისაგან მესმოდა სურვილი მოროზოვსკის ქალის დანიშვნაზე. ამ დროს მე დავითხოვე ყველა გარეშე პირები ზალიდამ როგორც სამღვდელოები უხმონი, ეგრეთვე საერო წოდების პირნიც. გამოუცხადე დეპუტატებს, ვისაც სურდა მოროზოვსკის ქალის დანიშვნა მიმდგარიყვნენ მარჯვნივ მხრით ზალაში და ვისაც სურდა წერეთლის ქალი, მარცხნივ მხრით. გამოჩნდა, რომ მოროზოვსკის ქალის დროებით დანიშვნაზე განაცხადა ყველა დეპუტატებმა სურვილი გარდა ათი დეპუტატისა სამეგრელოდამ, რომელნიცა ბრალიან და უბრალოზე ყვიროდნენ: „კენჭი! კენჭი!..“

ამ სახით ნამეტანი ხმით დადგინდა, რომ თანამდებობის აღმასრულებლად დროებითად იქმნეს დანიშნული მოროზოვსკის ქალი, რომელზედაც ყველამ სურვილი განაცხადა.(?) არავითარი პროტესტი ჩემს მოქმედებაზე დეპუტატებისგან ექსარხოსს არ წარდგენია. მე ძლიერ მიკვირს, როგორც თქვენ ამბობთ, თუ წერეთლის ქალი ჰსურდათ დეპუტატების ნამეტან ნაწილს რატომ ხუთმა დეპუტატმა მაინც არ განაცხადა წინაღმდეგი აზრი მოროზოვსკის ქალის დროებით დანიშვნაზე?.. (?!)

ამ დღეს საღამოზე მოიტანა საბუთები წერეთლის ქალმა. მე მივეცი წინადადება დეპუტატებს, ხომ არავის სურდა გადაწყვეტით აღრჩევა ერთი ვინმე მთხოვნელთაგანის; მაგრამ ყველა დეპუტატებმა (?) ამ მძიმე მოვალეობის აღსრულებაზედ უარი განაცხადეს გარდა ხუთიოდე სამეგრელოთაგან დეპუტატებისა, რომელიც კიდე თავისებურად იძახოდნენ: კენჭი! და კენჭი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერ უსაფუძვლოთ გახლავთ ნათქვამი, რომ ქართულად საჭირო საგნების სწავლებაზედ სემინარიაში თხოვნა მიეცესთ ექსარხოსისათვის და მე მასზედ ხელის-მოწერა არ მესურვებოის. თვითონ რომ თქვენ ყოფილიყავით, უ. რედაქტორო, სხდომებზედ და გეყურებიათ ზოგიერთი სამეგრელოდამ მოსული დეპუტატების ქცევისათვის, თქვენ დიდ მადლობას შემომწირავდით, რომ ისე წყნარად გათავდა ყველა სხდომები. თქვენ იტყვით, რასაკვირველია, თუ ვინმე წინააღმდეგი იყო, მათ წინააღმდეგ მეხმარა კანონიერი ზომები, მაგრამ რა ბოლო ექნებოდა ამას თქვენც უნდა მიხვდეთ, ანუ რა მაკავებდა მე... ვინც ხედავდა და აკვირდებოდა ჩემს მოქმედებას, დიდ მადლობას მიცხადებდა. ამისთანა მადლობა გამომიცხადა მე ყველა დეპუტატებმა გარდა ხუთი დეპუტატის სამეგრელოდამ. ამაზედ მე გაბედვით ვიმოწმებ ყველა დეპუტატებს.

თქვენი პირ-და-პირი მოვალეობა იყო ყველა სხდომებს დასწრებოდით, თუ აგრე გსურდათ საქმეზე სჯა. სხდომის ზალა ძლიერ მახლობლად იყო თქვენზედ და არ უნდა დაგეზარებიათ იქ მოსვლა. იქ ბევრი რამ გამოითქვა საყურადღებო, რომელთა შორის პირველი ადგილი უნდა მივსცე მამა მანსვეტოვის სიტყვას. ამ დროს ორივე კარები ღია იყო ზალისა; მაგრამ საუბედუროდ, თქვენის და „თფილისის მოამბის“ წარმომამდგენელებს ეძინებიათ. ძლიერ ვსწუხვარ, რომ ხშირად მაგისთანა მოჩქარებული აზრებით საქმეს უფრო ავნებთ და იმას, რასაც უნდა უხლოვდებოდეთ, ნამეტნავად გვაშორებთ.

ბლაღოჩინი მღვდელი დავით ღამბაშიძე.

P. S. ვთხოვ „თფილისის მოამბის“ რედაქციას, რომელმაც გადაბეჭდა „დროებიდგამ“ სხდომების ანგარიში, ეს პასუხიც გადიტანოს თავის გაზეთში.

მღ. დ. ღამბაშიძე.

---

# განცხადებანი

პირუტყვთა დამცველის თფილისის საზოგადოების წევრნი მოიწვევიან ამ ოქტომბრის 20-ს, საღამოს 7 საათზე საზოგადო კრებისათვის, რომელიც იქნება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში, ბარიათინსკის ქუჩაზე, ალექსანდროვის ბაღში.

სხდომაზედ მოსვლის უფლება აქვთ აგრეთვე ყველა გარეშე პირთ, რომელნიც კი საზოგადოების მიზანს თანაუგრძნობენ.

(3—1)

# თფილისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

(დასასრული)

**თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა** აცხადებს, რომ ქვემო-მოყვანილი პირთა დაგირავებული უძრავი მამულები დანიშნულ არიან გასაყიდველად, რადგან ამ პირთა ბანკის წესდების მე-15 მუხლის თანახმად არ შემოიტანეს ბანკში ამ თავიანთ დაგირავებულ მამულების ხვედრი შემოსატანი ფული (სარგებელი და თავნის წილი). მამულების გასყიდვა შეჩერდება მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ პატრონები გარდასახად ფულს დროზე შემოიტანენ:

| მეპატრონეთა სახელი და გვარი. | რა მამულია. | სად არის მამული. |
|---|---|---|
| **მელიქიშვილი**, ივანე ალექსანდრესძე | სახნავი და საბალახე ადგილები და ტყე, 1559 დესიატინა და 760 ოთხ-კუთხი საქ. | თფილისის უეზდში, სოფ. თახლი-კილისში, სადახლოში და ქვემო-ცეფში. |
| **ბარათაშვილი**, ნიკოლოზ გრიგოლის ძე. | სახნავი და საბალახე ადგილები და ტყეები, 453 დესიატ. და 450 ოთხ-კუთ. საჟენი. | თფილისის უეზდში სოფ. ზაზისში, ახალშენში და უკანაშავში. |
| **ციციშვილი**, დავით ივანეს ძე. | სახნავი და საბალახე ადგილები, 87 დესიატინა და 960 ოთხ-კუთ. საჟ. | თფ. გუბ. გორის უეზდში, სოფელს ქვემო-ნიჩბისში. |
| **ზანდუკელი**, ოტია გიორგის ძე. | სახნავი მიწები, 80 დესიატ. | თფ. გუბ. თიონეთის უეზდში, სოფ. ბაკშიანთ-კარში. |
| **ლორაძე**, ივანე იოსების ძე. | სახნავი და საბალახე ადგილები, 789 დესიატ. 660 ოთხ-კუთხი საჟენი. | თფ. უეზდში, სოფ. დიდმგრისში. |
| **ორბელიანი**, ვახტანგ ვახტანგის ძე. | სახნავი, საბალახე და სათიბი ადგილები, 1434 დესიატინა და 1120 ოთხ-კუთხი საჟ. | თფ. უეზდში, სოფ. მუსიკალაში და შინდლიარში. |
| **ქარუმიძე**, ივანე პაატას ძე. | სახნავი და საბალახე ადგილები, 12 დესიატ. და 1440 ოთხ-კუთხი საჟენი. | თფ. გუბ. გორის უეზდში, სოფ. თორთისში. |
| **შაბუროვისა**, მარიამ დავითის ასული | სახნავი და საბალე ადგილები, 12 დესიატ. 2320 ოთხ-კუთ. საჟ. | თფ. გუბ. დუშეთის უეზდ., სოფ. საშაბუროს. |
| **თარხან-მოურავისა**, მარიამ ბიძინას ასული. | სახნავი და საბალახე ადგილები და ტყე, 545 დესიატ. 1645 ოთხ-კუთხი საჟ. | თფ. გუბ. გორის უეზდში, სოფ. ცხოველს. |
| **ამილახვარი**, ამირინდო ამირინდოსძე | სახნავი ადგილები, 145 დეს. და 1756 ოთხ-კუთ. საჟ. | თფ. გუბ. გორის უეზდში, სოფ. ნაურეთში. |
| **ანდრონიკოვი**, ზაქარია იესეს ძე. | სახნავი, საბალახე და სათიბი ადგილები და წვრილი ტყე, 15,000 დესიატინა. | თფ. უეზდში, სოფ. ლამბალოში. |
| **მაღალაშვილისა**, ნინო სარდიონის ასული. | ვენახი, 6 დესიატინა. | თფ. გუბ. სიღნაღის უეზდში; სოფ. ბაკურციხეს. |
| **ამატუნი**, ნაპოლეონ ივანეს ძე. | ვენახი და თან ადგილი, 2 დეს. და 90 ოთხ-კუთხი საჟ. | თფ. გუბ, სიღნაღის უეზდში, სოფ. კარდანახში. |
| **გაგაშვილი**, ნიკოლოზ მიხეილის ძე. | სახნავი ადგილი და ორი ზვარი, 14 დესიატ. და 2260 ოთხ-კუთხი საჟ. | თფ. უეზდში, სოფ. ერთისში. |
| **ვაჩნაძე**, ივანე ბაადურის ძე. | ორი ზვარი და თან ადგილი, 2 დესიატ. და 2021 ოთხ-კუთ. საჟ. | თფ. გუბ. სიღნაღის უეზდში. სოფ. ბაკურციხეს. |
| **შახპარუნოვი**, იაგორ გაბრიელის ძე. | ვენახი, 8½ დესიატინა. | თფ. გუბ. გორის უეზდში, სოფ. დღვრისში. |
| **პეტრუსოვი**, დარჩო ბადას ძე. | სამი ვენახი, 1 დესიატ. და 1800 ოთხ-კუთ. საჟ. | თფ. გუბ. გორის უეზდში, სოფ ცხინვალში. |
| **ვახვახოვი**, ზაქარია ივანეს ძე. | ვენახი და სამოსახლო ადგილი, 7 დესიატ. და 920 ოთხ-კუთ. საჟ. | თფ. გუბ. თელავის უეზდში, სოფ. კურდღელაურში. |
| **კომხაძე**, მიხეილ გიორგის ძე. | ზვარი, 1 დესიატინა. | თფ. გუბ. გორის უეზდში, სოფ. ზემო-ხანდაკში. |
| **ავალოვისა**, მარიამ გიორგის ასული. | ზვარი, 4580 ოთხ-კუთ საჟ. | თფ. გუბ. თელავის უეზდში, სოფ. ვაჩნაძიანში. |

| | | |
|---|---|---|
| **იაგოროვი**, ივანე ივანეს ძე. | ზვარი და მიწა, 760 ოთხ-კუთხი საჟენი. | თფილისში, მე-II განყოფილების მე-10 უჩასტკაში, წყლის-პირა ქუჩაზე. |
| **ბარათაშვილი**, ნიკო გიორგის ძე. | ზვარი, სახნავი და საბალახე ადგილები, 858 დესიატ. და 380 ოთხ-კუთხი საჟენი. | თფ. უეზდში, სოფ. დიდ-წერაქვში. |
| **სტეფანოვი**, გეურქ პავლეს ძე (ახლა ციციანოვის). | უდაბნო ადგილი, 300 ოთხ-კუთხი საჟენი. | თფილისში, II განყოფ. მე-11 უჩასტკაში. |
| **ქარუმიძე**, ივანე პაატას ძე. | სახნავი ადგილები, 34 დეს. და 1320 ოთხ-კუთ. საჟენი. | თფ. გუბ. გორის უეზდში, სოფ. თერთიზაში. |

**კავკასიის მედიცინის საზოგადოება** აცხადებს, რომ ტაინი სოვეტნიკის **ე. რ. გომბლატის** სახელობაზედ ქალების გიმნაზიაში დანიშნული **სტიპენდია ამ ჟამად თავისუფალია**, დაუქერელია და ვისაც ამ სტიპენდიის მიღება ჰსურს, შეუძლიან მიმართოს ხსენებული საზოგადოების სეკრეტარს უფ. ნ. ნ. უშაკოვს. (ქალონიაში, სახლის № 145).

(5—1)

**თფილისის ქალაქის გამგეობისაგან**

**ქალაქის გამგეობა** უცხადებს ტრაქტირებისა, ხარშოვნიკებისა და პასტაიალი დვორების პატრონებს, რომ, თანახმად ტრაქტირების წესდების § 17 მუხლისა, ისინი ვალდებულნი არიან ამ ოქტომბრის (ღვინობისთვის) განმავლობაში შემოიტანონ ქალაქის გამგეობაში ხვედრი ფული და მიიღონ ვაჭრობის უფლებისათვის ჯეროვანი მოწმობა 1880 წლისათვის. ვინც ამ მოთხოვნილებას არ აასრულებს, იმათ ტრაქტირებსა, ხარშოვნიკებსა და პასტაიალი დვორებს უპრავა უეჭველად მოშავალი 1880 წლის 1 იანვარს დაკეტავს.

# დედანი

(პროზისი) სურათებით

შედ. ან. ჯუღელისაგან

გამოვიდა და ისყიდება შემდეგ ადგილებში:

თბილისს: ჩარკვიანის, ვართანოვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში,
ქუთაისს: სასულიერო სასწავლებელში და ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში,
სამეგრელოში: სასულიერო სასწავლებელში დ. სუჯუნას თოფურიძის ლუქანში და აბაშაში უფ. ანტ. კეკელიასთან შკოლაში,
ოზურგეთს: სასულიერო სასწავლებელში,
ხონში: უფ. ჭალაგანიძესთან,
გორს: სასულიერო სასწავლებელში,
თელავს: სასულიერო სასწავლებელში და ხირსელოვის წიგნის მაღაზიაში,
სიღნაღს: უფ. კ. ბალაშვილთან.
ფასი ერთის ეგზემპლიარისა აბაზი.

**გ. ჩარკვიანის**

ქართული წიგნის მაღაზიაში, ქაშვეთის ეკლესიის შენობაში, № 1 და **იყიდება** შემდეგი ახალი **ქართული წიგნები:**

**თვალ-საჩინო სწავლა** ახლად შესრულის ყმაწვილებისათვის სახალხო შკოლებში. შედგენილი მიხ. ჭიჭინაძისაგან—ფასი 40 კაპ.

**ბანჯგვლიანი ფუტკარი**— თხ. ავენარიუსისა ნათარ. ალ. აბაზიძესაგან—ფასი 15 კაპ.

**გლეხის ნამბობი** მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა. გამ. არ. სათაროვისაგან ფასი 25 კ.

**რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ** პოემა ილია ჭავჭავაძისა გადმობეჭ. ჟურნ. „ივერიიდგან“ ფასი 10 კაპ.

**ცოლი თუ გინდა ესარის**, ვოდევილი ვასილ აბაშიძისა ფასი 10 კ. და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

Въ Тифлисѣ. Книжный магазинъ Григорія Чарквіани въ зданіи Кашветской церкви, № 1 и 2.

**ქუთაისში**, მიხაილოვის ქუჩაზე, ხესინოვის სახლებში, ივანე **კურწოვის მაღაზიაში ისყიდება** ნამდვილი, თეთრი **წმინდა** (თაფლის) **სანთელი**

ფასი ჩვეულებრივზე ბევრად უფრო იაფია.

ამ გვარივე ნამდვილი წმინდა სანთელი ისყიდება აგრეთვე **თფილისშიაც**, სიონის ულიცაზედ, ონანოვის ქარვასლაში.

(10—10)

| რკ. გზა. | დილ. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი . . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი. . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი. . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი. | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი . . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამ. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი . . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილისი. . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში . . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს, | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავს . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოჩტა**

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . | 3 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 7 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი 9 ოქტომბ. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა ფუთ. | 2 | 55 |
| ფქვ. წითელი . . | 2 | 20 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 40 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი. | 8 | 65 |
| —ამერიკისა, ფუთი . | 9 | 30 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 11 | 70 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 8 | 20 |
| —თარაქამისა ფუთი . | 3 | 70 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 10 |
| ქონი ფუთი . . . | 5 | 80 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი ფ. | 11 | 65 |
| ხორცი ძროხისა ლიტრა | — | — |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | — |
| სპირტი ვედრო . . . | 4 | 50 |
| შაქარი გროც. ფუთ . | 7 | 25 |
| —ფხვნილი ფუთი . | 5 | 70 |
| ყავა რგვალი გრვ. . | — | 65 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი. | 14 | — |
| თამბაქო საშუალო ფთ. | 6 | 70 |

**თფილისის სამკურნალო.**

ერევნ. მოედ., წინამძღვაროვ. სახლი.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ორშაბათს: ლისიცევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ქურავლევი—ვენერიულის, და კანისა; ბაბოვი—გულისა და შინაგ.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგ., ასტვა-ცატუროვი—ქალისა და ბავშვების ავათმყ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ავათთმყ. და ქურავლევი—კანის და ვენერიულის.

პარასკევს იქნებიან: ლისიცევი, შინაგ.; ასტვა-ცატუროვი — ვენერ. და კანის; ბაბაევი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.

შაბათს: ვერმიშევი, შინაგ.; ქურავლევი.—ვენერ. და კანის რეიხი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Октября 1879 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.